ირაკლი თეზელაშვილი

სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქების ანტონ I-ისა და ანტონ II-ის პორტრეტებისათვის[1]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში სრულიად ზემო ივერიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებს ანტონ I დიდს (ბაგრატიონი) (1720-1788 წწ) და ანტონ II მრავალვნებულს (ბაგრატიონი) (1764-1827 წწ.) განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებათ. პირველი მათგანი გვიანფეოდალური ეპოქის უსაჩინოესი სასულიერო მოღვაწეა, რომელმაც თავისი კვალი დაამჩნია ქართული სალიტერატურო ენის ახალ სტილს (ე.წ. „ანტონისეული სამი სტილის თეორია“), საღვთისმეტყველო განათლების განვითარებას (სასულიერო სემინარიები თბილისსა და თელავში), ლიტურგიკას (ტიპიკონის გასწორება სლავური წესის მიხედვით), ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებების შექმნით, „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონი კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში“ [კეკელიძე 1951:358]. ხოლო ანტონ II ცნობილია, როგორც რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსირების ხანაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი და ამის გამო გადასახლებული, რისთვისაც შემდგომ „მრავალვნებულის“ წოდებით წმიდანად იქნა შერაცხილი.

ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ კვლევას ორივე კათოლიკოს-პატრიარქის პორტრეტებთან დაკავშირებით. ვინაიდან, ეს ორი პიროვნება ერსა და იმავე სახელ-გვარს ატარებდა და ერთმანეთის მიყოლებით მამამთავრობდნენ მცხეთის საპატრიარქო ტახტზე (პირველი-1744-55; 1764-88 წწ; მეორე-1788-1811/27 წწ), უკვე XIX საუკუნეში მოხდა მათი

1 წინამდებარე ნარკვევი, მოხსენების სახით წარდგენილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან არსებულ სტუდენტური სამეცნიერო წრის III კონფერენციაზე, 2015 წლის დეკემბერში.

პორტრეტების აღრევა და ზოგჯერ სრულებით სხვა მღვდელმთავრებთან გაიგივება (მაგ. ანტონ I-ის წმ. ტიხონ ზადონელთან), რაც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. ამისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, სრულიად საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციის მთავარი მისაღები დარბაზი, სადაც მამამთავართა პორტრეტებს შორის ანტონ II-ის ორი პორტრეტია გამოფენილი, რომელთაგანაც ერთი შეცდომით ანტონ I-ის გამოსახულებადაა წარმოდგენილი (იხ. ტაბ. 1, 2). აგრეთვე 2012 წელს გამომცემლობა „პალიტრა L"-ის მიერ გამოცემული საქართველოს ისტორიის ფართოდ გავრცელებული და ტირაჟირებული ოთხტომეული, რომლის III ტომის ილუსტრაციათა მეორე ჩანართში (ილ. 22,I – აქ: ტაბ. 3) [საქართველოს ისტორია 2012: ილ. 22,I] კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ნაცვლად წმ. ტიხონ ზადონელის პორტრეტია დაბეჭდილი.

აღნიშნული ნარკვევის მიზანია: 1. გავმიჯნოთ ერთმანეთში აღრეული ორივე მამამთავრის პორტრეტები; 2. განვაცალკეოთ ეს პორტრეტები (განსაკუთრებით, ანტონ I-ის შემთხვევევაში) სხვა სასულიერო პირების გამოსახულებებისგან; 3. წარმოვადგინოთ ორივე მამამთავრის პორტრეტთა სრული კორპუსი; 4. მივცეთ აღნიშნულ პორტრეტებს შესაბამისი მიმოქცევა ქართველოლოგთა (განსაკუთრებით, ისტორიკოსთა, ფილოლოგთა, ხელოვნებათმცოდნეთა წრეში), თუ საეკლესიო ისტორიკოს-არქეოლოგთა სამეცნიერო სივრცეში.

I

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის პორტრეტი დიდი ხანია დავას იწვევს. იგი პირველად შეცდომით დაიბეჭდა 1900 წელს რაფიელ ისარლიშვილის მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ ალექსანდრე ხახანაშვილის „საქართველოს ისტორიაში" [Histoire de Géorgie 1900:100] (ტაბ.4). აღნიშნული შეცდომა გაიმეორა ცნობილმა ისტორიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ და რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდელმა – მიხეილ თამარაშვილმა 1910 წელს რომში დაბეჭდილ თავის ნაშრომში „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან დღემდე" [თამარაშვილი 1995:434]. მ. თამარაშვილს აღნიშნული უზუსტობა მალევე შეუნიშნავს, რის გამოც იგი 1910 წლის 25 აპრილს ზაქარია ჭიჭინაძეს წერდა: „მე ისე გადმოვაბეჭდინე, როგორც იყო ხახანოვ-ისარლოვის მიერ გამოცემულ ისტორიაში. ამიტომ ვწუხვარ, რომ იმათ მეც შემაცდინეს და ანტონ მეორე ანტონ პირველად დამაწერინეს. ამ შეცდომას თავიდან ავიცილებდი, უკეთუ მ. ჯანაშვილს ჩემი წერილისათვის პასუხი მოეცა. მაგ დალოცვილმა, აქამდინაც არ იკადრა ცარიელი პასუხის მოცემა"

[ბუბულაშვილი 2011:138-139]. მიხეილ თამარაშვილმა ეს უზუსტობა ვეღარ გაასწორა, რადგან 1911 წელს ტრაგიკულად დაიღუპა. მისი ნაშრომის ხელახალ გამოცემაში (1995 წ. – გვ.434) იგივე შეცდომა გამეორდა (იხ.ტაბ.5). ამ უზუსტობას ყურადღება მიაქცია ბატონმა ელდარ ბუბულაშვილმა და შესაბამისი პუბლიკაციებიც მიუძღვნა [ბუბულაშვილი 1998ა:101-103], მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეცდომა ისევ გამეორდა 1997 წელს, როდესაც ანტონ I-ის დაბადებიდან 275 წლისთავზე (ოდნავ დაგვიანებით) გამოვიდა საფოსტო მარკა (№0068), სადაც მისი პორტრეტი ისევ შეცდომით იყო დაბეჭდილი (იხ. ტაბ.6), რასაც ისევე გამოეხმაურა ბატონი ელდარ ბუბულაშვილი [ბუბულაშვილი 1998ბ], თუმცა აღნიშნული შეცდომა ისევ გრძელდება: საფოსტო მარკა კვლავ მიმოქცევაშია.

ანტონ I-ის პორტრეტის აღრევა ხდება ორ შემთხვევევაში: 1. მას ურევენ მისი მემკვიდრის, ანტონ II-ის ლითოგრაფიაში, რომელიც ასახავს ამ უკანასკნელს მოხუცებულობის ჟამს და შესრულებულია 1868-69 წელს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების III ტომისათვის 2. ასეთი აღრევა ხდება რუსი მღვდელმთავრის – წმ. ტიხონ ზადონელის პორტრეტთან.

აღნიშნული უზუსტობის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ შემორჩენილია კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ერთადერთი ავთენტური პორტრეტი, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის რუსული ფერწერის განყოფილებაში (შემდგომში – სემ (შასხმ, r). 78 r). პორტრეტი 90 x 53 სმ-ის ზომის ტილოზე შესრულებულია ზეთის საღებავებით. მასზე ჯერჯერობით გვაქვს ერთადერთი ცნობა ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, პლატონ იოსელიანისგან (1809-1875 წ.წ), რომელიც, მის მიერ 1853 წელს გამოცემულ ანტონისეული „წყობილსიტყვაობის“ წინასიტყვაობაში წერს: „წიგნსა ამას დაურთე ჩემით შენიშუნანი და სხოლიონი, სასარგებლონი მკითხუ3ლთათვს, და თვთ სახე მისი, იმა მისისა პორტრეტიდამ, რომელიცა დაეხატვნებინა თვთ მას მოსკოვსა და აქუნდათ ლათინთა თფილისს მოძღუართა და უკანასკნელ მე მოვიძიე ჩემდა საკუთრებად, შემდგომად განდევნისა მათისა თფილისიდამ 1845 წელსა“ [წყობილსიტყვაობა 1853:XVII].[2] სწორედ ამ პორტრეტის მიხედვით მან თბილისელ სომეხ ლითოგრაფს, პოღოს გრასირიანცს დაუკვეთა ლითოგრაფია, რომელიც შემდგომ პლატონმა დაბეჭდა აღნიშნულ გამოცემაში წი-

2 ტექნიკური მიზეზების გამო პლატონ იოსელიანის დროის ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ უ-უბრჯგუს ვერ ვბეჭდავთ გარკვეულ სიტყვებში.

ნასიტყვაობის წინ. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს ლითოგრაფია გამოიყენეს შემდგომ რამდენჯერმე საქართველოს არსებული სასულიერო სემინარიების (განს. ქუთაისის სასულიერო სემინარიის) გამოსაშვებ სურათებში ჩასართავად (იხ. ტაბ.7). შემდგომ, გარკვეული პერიოდი, ეს პორტრეტი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა, შემდგომ მუზეუმ „მეტეხში“ მოხვდა, საბოლოოდ კი სემ (შასხმ, r)-ში დაიდო ბინა (იხ. მუზეუმის საინვენტარიზაციო წიგნი, რუსული ფერწერის ფონდი, 78 r) (ტაბ.8).

პლატონ იოსელიანის ცნობას თუ დავეყრდნობით, პორტრეტი შესრულებული უნდა იყოს 1772-74 წლების ფარგლებში, ე.ი მაშინ, როდესაც ანტონი დიპლომატიური მისიით და კათოლიკოს-პატრიარქის პატივით იმყოფებოდა რუსეთში. პორტრეტის ავტორი უცნობია, თუმცა სტილიდან და შესრულების მანერიდან გამომდინარე, იგი ქართველი უნდა იყოს, რომელსაც შესაძლოა, მომზადება ჰქონდა გავლილი იმ დროის რუსეთის პორტრეტული მხატვრობის რომელიღაც სკოლაში. სხეულის დარღვეული ანატომია, მძიმე პალიტრა, ხატწერასთან დაახლოებული დამუშავების ტექნიკა (განსაკუთრებით, სახესა და ხელებზე) მეტყველებს, რომ ეს არ იყო მაღალი დონის ოსტატი და მით უმეტეს რუსი პორტრეტისტი. პორტრეტის ხელოვნება იმდროინდელ რუსეთში მეტად მაღალ დონეზე იყო განვითარებული. დასაშვებია აზრიც, რომ მოსკოვში ყოფნისას ანტონმა ქართული ახალშენის რომელიმე მხატვარს სთხოვა თავისი სამახსოვრო პორტრეტის შექმნა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ინფორმაციის მოპოვება ქართულ ახალშენში მოღვაწე მხატვართა შესახებ. პორტრეტი ასახავს ხანშიშესულ მამაკაცს, ჭაღარა წვერით, განიერი მოყავისფრო თვალებით (განყენებული მზერით) და დამძიმებული ქუთუთოებით, რომელიც ¾-ითაა მოცემული. მარცხენა ხელში უპყრია სამღვდელმთავრო კვერთხი წითელი მანდილით, რომელიც ერთხელაა გადაკეცილი და დაშლილი ფუნჯებით სრულდება, ხოლო მარჯვენა მაკურთხეველია. თავზე ახურავს ქართული საკათალიკოსო კუნკული (ანუ ბარტყუულა) ლალისთვლებიანი ჯვრით[3], კუნკულის ერთი ფრთა მარცხენა მხარზე ეშვება და მასზე მარგალიტების რიგით შემკული

3 ეს ჯვარი, მეორე ზურმუხტისთვლებიან ჯვართან ერთად, გადაღებული აქვს დიმიტრი ერმაკოვს. ფოტოსურათის ორიგინალი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში (იხ. ტაბ.9). ლალისთვლებიანი ჯვარი, 1957-58 წლებიდან აღარ ჩანს, გადმოცემით, იგი დაიკარგა. ხოლო ზურმუხტისთვლებიანმა გარკვეული ცვლილებებით დღემდე მოაღწია და წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა საპატრიარქო კუნკულ-ბარტყუულას.

სერაფიმია მოცემული, მეორე ფრთა მარჯვენა მხარზეა გადადებული და არ მოჩანს. გულზე ანტონს ჰკიდია პანაღია (ენკოლპიონი) – ოვალურ (სავარაუდოდ, ფერწერული მინანქრის) ფირფიტაზე გამოსახულია ჯვარცმის სცენა ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის გარეშე (იხ.ტაბ.10), ხოლო ჯვრის ზედა ფიცარზე შავი საღებავით ასომთავრულით ჩაწერილია: *ინმუ* (იესუ ნაზარეველი მეუფე ურიათა). თავად გამოსახულება შემოსაზღვრულია ინტენსიური წითლით დახატული ოვალური ფირფიტით, ოთხი მცირექვებიანი გამონასკვით – ქვედაზე ცრემლია მიბმული, ხოლო ზედას ამშვენებს სამთვლიანი გვირგვინი, რომელსაც აგრეთვე აგვირგვინებს ტოლმკლავა ჯვარი სფეროზე. მამამთავარს მოსავს მუქი შავი ფერის ანაფორა, რომლის მკლავები, შეკვრის ადგილი და სარჩული მდიდრულო სამეფო ხალებიანი სიასამურის ან ყარყუმის ბეწვითაა გაწყობილი. ანაფორის ქვეშ მუქი ლურჯი ფერის ჩოხა მოსავს, რომლის სახელო გადანაკეცითა და სამი ღილით სრულდება, გარედან კი მომწვანო (!) ფერის მანტია მოსავს, რომლის სჯულის ზედა ფიქლები მარგალიტით ასხმული მცენარეული ორნამენტითა და ტოლმკლავა ჯვრებითაა შემკული. კვერთხის ტარს გველეშაპის ხახიდან ამოსული ორი გველეშაპი ასრულებს, რომელთა ფრთები ამაგრებენ ჯვრის გვირგვინის ფორმის კვარცხლბეკს, ხოლო ენები ჯვრისკენაა მიმართული. პორტრეტი სრულად ჯდება რუსეთში მიღებულ მღვდელმთავართა პარადული პორტრეტების პროგრამაში. 1852-53 წლებში პლატონ იოსელიანმა თბილისელ სომეხ ლითოგრაფს, პოღოს გრასირიანცს დაუკვეთა ამ პორტრეტის მიხედვით ლითოგრაფიის შექმნა (იხ. ტაბ.11). მის ავტორობას ადასტურებს ლითოგრაფიის მარჯვენა ქვედა კუთხეში მოთავსებული რუსული წარწერა: "Погосъ Грасиріанцъ". გამოსახულება ძალიან სქემატურია, მეტად შორდება ორიგინალს, არ მისდევს მას მრავალ დეტალში (სერაფიმი, სჯულის ფიქლები, პანაღია, სახელოები, სახე...). მთავარი განმასხვავებელი დეტალი კვერთხზე მანდილის არქონაა. გვიანფეოდალურ ხანაში და განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, რიგი ადგილობრივი ეკლესიების მეთაურები სწორედ საკუთარი ხარისხის ხაზგასასმელად ატარებდნენ მანდილს კვერთხზე. ეს ბოლო დრომდე შემონახული იყო ანტიოქიის ეკლესიაში (პატრიარქი ეგნატე IV).

არსებობს აგრეთვე XX საუკუნის 70-90-იან წლებში შექმნილი ანტონ I-ის ორი პორტრეტი: 1. მხატვარ ს. მაისაშვილისა, რომელმაც 1970 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაკვეთით შექმნა პორტრეტი ანტონ I-ის დაბადებიდან 250 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ამჟამად ინახება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (იხ.ტაბ.12); 2. მხატვარ გ. ბუღაძისა, შექმნილი

1991 წელს საქართველოს საპატრიარქოს ორგანო „საღვთისმეტყველო კრებულის“ რედაქციის დაკვეთით (იხ. ტაბ.13) [ბუბულაშვილი 1998ა:102-103].[4] მაისაშვილი პროტოტიპად ალბათ გრასირიანცისეულ ლითოგრაფიას იყენებს, ხოლო ბუღაძე – მაისაშვილის ტილოს.

დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის იკონოგრაფიის ფონდში დაცული მღვდელმთავრის პორტრეტი ანტონ I-ს ასახავდეს (იხ.ტაბ.14). ამას ეწინააღმდეგება თავად პორტრეტი და მასზე ასახული რეგალიები. შეუძლებელია ანტონ I ბარტყულაზე ლალისთვლებიანი ჯვრისა და სერაფიმების გარეშე, აგრეთვე მუქი მწვანის ნაცვლად მუქ ღვინისფერ მანტიაში გამოესახათ. ამ ტილოს შესახებ მცდარი ატრიბუციით გვაწოდებს ინფორმაციას რ. დაუშვილი: „პორტრეტზე მხცოვანი კათალიკოსი აღბეჭდილია მუქი შინდისფერი ანაფორით [sic], ლურჯი მოსასხამითა [sic] და მღვდელმთავრის თეთრი ოქსინოს ოლარით მოსილი [sic!]. ყელზე ჰკიდია პანაგეა ჯვარცმის გამოსახულებით, ხელთ უპყრია კვერთხი ჩალისფერი ალმით [sic]. ნახატი ჩასმულია ხის ფიგურულ ვარაყიან ჩაროჩოში. ნახატი შესრულებული უნდა იყოს XIX საუკუნის 10-იან წლებში რუსი მხატვრის მიერ. ტილო შეძენილია ლადო გუდიაშვილის ოჯახიდან 1940 წელს“ [დაუშვილი 1990:86]. ვერ დავეთანხმებით პატივცემული მკვლევრის მოსაზრებას, რომ აქ გამოსახულია ანტონ I. ჩვენი აზრით, ეს ტილო ასახავს ანტონის თანამედროვე რუს წმიდა მღვდელმთავარს – ტიხონ ზადონელს (†1783 წ.), ამას ადასტურებს მოსკოვის მართლმადიდებლური სასულიერო აკადემიის საეკლესიო-არქეოლოგიური კაბინეტის ფერწერის ფონდში დაცული ანალოგიური ტილო (იხ.ტაბ.15). მასზე წითელი საღებავით გამოყვანილია წარწერა, რომელიც სრულად არ იკითხება, მაგრამ განირჩევა ნაწილი: “...ТИХОНЪ... ВОРОНЕЖС...” ცხადია, რომ გამოსახულია წმ. ტიხონ ზადონელი – ვორონეჟისა და ელეცის ეპისკოპოსი. სწორედ ეს შეცდომაა გაპარული საქართველოს ისტორიის უახლესი ოთხტომეულის ილუსტრაციებში. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს პორტრეტი ცნობილი იყო ქართველი საეკლესიო ისტორიკოსისა და გამოჩენილი მოღვაწის – ეპისკოპოს კირიონისათვის (საძაგლიშვილი), თავის დიდტანიან მონოგრაფიაში “Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата в XIX веке” მას ჩართული აქვს ამ პორტრეტის ფოტოპირი (იხ.ტაბ.16) წარწერით: “Преосвященный Гаиозъ, архіепископъ Астраханскій и Моздокскій, просвѣтитель осетинъ” [E.K 1901] ე. ი, წმ. კირიონი ამ პორტრეტზე გამოსახულ პიროვნებად ან-

4 „საღვთისმეტყველო კრებულის“ 1991 წლის №1, სწორედ ანტონ I-ის ცხოვრება-შემოქმედებას ეძღვნებოდა.

ტონ I-ის მოწაფეს, ცნობილ სწავლულსა და მქადაგებელს, გაიოზ რექტორს მიიჩნევდა, რასაც ფაქტობრივი მასალა ეწინააღმდეგება.

II

კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პორტრეტები შედარებით მრავლად არის შემონახული. ქრონოლოგიური პრინციპით ისინი ამ რიგით უნდა განვიხილოთ:

73 r; 86 r (73 r-ის ასლი) (XVIII ს-ის 90-იანი წლები, სავარაუდოდ, 1788-89 წ.წ);

ვლ. ბოროვიკოვსკი (დაახ. 1811 წ.); 311 r (XIX ს-ის I ნახ.); 68 r (212 r) (?) (1812 წ.);

პ. ჩუფარინი (XIX ს-ის I ნახ.);

პინაევი (XIX ს-ის I ნახ.); 55 r (XIX ს-ის I ნახ.); ტომსონი (დიუსტერდიკი) (1868-69);

73 r (89 x 68 სმ) (იხ.ტაბ.17) ასახავს ანფასში ახალგაზრდა ანტონ II-ს. თუ დავუშვებთ, რომ იგი აღსაყდრებისთანავე შეიქმნა ერთგვარ „სავიზიტო ბარათად", ან პარადულ პორტრეტად, იგი 1788-89 წლებით უნდა დათარიღდეს და ერთგვარად ეთანადება თანადროულ სამეფო ოჯახის სხვა პირთა პორტრეტებს. ოსტატი მას მოსავს მუქი ფერის ყარყუმის ან სიასამურის ბეწვით გაწყობილი სახელოებიანი ანაფორით. ჩოხის სახელოები ოქრომკედითაა მოქარგული და სახელოს ბოლოში მცირე არშიები დაუყვება. გარედან მოსავს მუქი ფერის მწვანე მანტია, წითელი და თეთრი ზონრებით, ხოლო მანტიის სჯულის ფიქლები ვარდისფერ ფონზე ამოქარგული მკლავებგაგანიერებული ჯვრითაა შემკული. გულზე ჰკიდია ძვირფასი პანაღია გვირგვინის გარეშე, პანაღიის მედალიონის ფირფიტაზე გამოსახულება არ გვაქვს. თავზე კათალიკოსს ბარტყულა (ანუ კუნკული) აფარია ლალისთვლებიანი ჯვრითა და სერაფიმით. სახე თავისებურია, თვალები ზომაზე მეტად დაცილებული, ცხვირის ნესტოები ოდნავ აწეული, რაც დამახასიათებელი იყო ბაგრატიონთათვის. სემ (შასხმ, r)-ში დაცულია ამ პორტრეტის ასლი (იხ.ტაბ.18), რომელიც შედარებით ნაკლები ოსტატობითაა შესრულებული. საინვენტარიზაციო წიგნში მითითებულია: „...წამოღებულია კათალიკოსის სასახლიდან 1923 წ. IX." შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ეს პორტრეტი ხელახლა და ნაჩქარევად დაახატინეს ტემპერით ნაკლებად დახელოვნებულ ოსტატს და საკათალიკოსო სასახლეში მოათავსეს. ტილო დაზიანებულია, გამოსული აქვს ვერცხლისა და ტყვიის ნადები ფენები.

1811 წელს სანკტ-პეტერბურგში, ცნობილმა რუსმა პორტრეტისტმა და ერთ-ერთმა პორტრეტისტთა ცნობილი „ტრიოდან" (როკოტოვი,

ლევიცკი, ბოროვიკოვსკი), ვლადიმირ ბოროვიკოვსკიმ (1757-1825 წ.წ) შეასრულა იმ დროს პეტერბურგში, სამეფო კარზე მყოფი ანტონ II-ის პორტრეტი (იხ.ტაბ.19). სავარაუდოდ ეს იმპერატორის დაკვეთით მოხდა, რადგან ბოროვიკოვსკი უმაღლესი საერო და სასულიერო წრეების პორტრეტისტი გახლდათ. ზოგი მკვლევარი შენიშნავს, რომ ბოროვისკოვსკი მეგობრობდა კიდეც ანტონთან და ამან გადააწყვეტინა მას მისი პარადული პორტრეტის შექმნა. აღნიშნულ ოსტატს უმაღეს სასულიერო პირთა მრავალი პორტრეტი აქვს შესრულებული (მიტროპოლიტი ამბროსი პოდობედოვი, მიტროპოლიტი მიქაელ დესნიცკი (განსაკუთრებით ხშირად), მიტროპოლიტი დიმიტრი როსტოველი...) მაგრამ ანტონ II-ის პორტრეტი მათში საუკეთესოდაა მიჩნეული, ამას თვით XIX საუკუნის მკვლევარ-მოყვარულები აღიარებდნენ. მაგ. ვ.გორლენკო თავის ნაშრომში ვლადიმირ ბოროვიკოვსკიზე წერდა: „რამდენაც ჩვენ უფლებას გვაძლევს პირადი დაკვირვება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოროვიკოვსკის მამაკაცთა პორტრეტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ქალთა პორტრეტები. რაც შესაძლოა იმის ბრალია, რომ ავტორს უფრო სახასიათო ნიშნებით აღჭურვილი მამაკაცების ორიგინალები ხვდებოდა. მხატვრის ნიჭის დასახასიათებლად უნდა დასახელდეს პორტრეტები იმპერატორ პავლესი, სპარსი უფლისწულის, ყული-ხანისა და საქართველოს ეგზარქოსის [sic!] ანტონისა. ცოტა ხნის წინ პ.მ. ტრეტიაკოვის მიერ პეტერბურგის ნ.დ. ბიკოვის კოლექციიდან შეძენილი საქართველოს ეგზარქოს [sic!] ანტონის პორტრეტი ტრეტიაკოვის შესანიშნავი გალერეის ერთ-ერთი უძვირფასესი მარგალიტია. უფლისწული ანტონი, საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი, გახლდათ ძე ქართლისა და კახეთის ბოლოსწინა მეფის ერეკლე II-ისა. სამხრეთული ცხელი ტიპის სამეფო ნაკვთები არაჩვეულებრივად ეხამება შესამოსლის სიმდიდრესა და სიღიავეს. ცოცხალი სახე და შავი თვალები იმზირება სქელი წარბების ქვეშ. ძვირფასი მანტია, მარგალიტის სერაფიმებიანი სამხრეები დახატულია რაღაცნაირი ძალუმი მოკრძალებით. შეუძლებელია არ გაგიხარდეს, რომ ასეთი ნაწარმოები გახდა კოლექციის ნაწილი..“ [Горленко 1891:270; იგივე Жмакин 1905:550].

პორტრეტი ტრეტიაკოვის გალერეის ფერწერის ფონდში (ნომრით – 112) [1] 1883 წლიდან ინახება [დავიდოვი 1988:37]. იგი 94,5x73,6 სმ-ის ტილოზეა შესრულებული ზეთის საღებავებით. ახლავს ავტოგრაფი (მარცხენა ქვედა კუთხეში, ფონზე): “Писалъ в. Боровиковскій 1811. Года”. ტილო ასახავს 44-45 წლის ანტონს მუქ შინდისფერ ანაფორაში, რომლის სარჩული მუქი ლურჯი აბრეშუმითაა ამოკრული. გარედან მოსავს მწვანე ფერის მანტია წითელ-თეთრი წყაროებითა და მოქარ-

გული სჯულის ფიქლებით.[5] ხელში უპყრია ძვირფასი კვერთხი თეთრი აბრეშუმის მანდილით, რომელზეც იმპერიის სიმბოლო – ორთავა არწივი გვირგვინით არის ამოქარგული. თავზე ახურავს თეთრი მაღალი ბარტყუულა ბრილიანტის ჯვრითა და კალთებზე ორი სერაფიმით.[6] გულზე ანტონს ჰკიდია საპატრიარქო გულსაკიდი ჯვარი (დღემდე არსებობს და განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) და ორი პანაღია – ქრისტე ყოვლისმპყრობლისა და ღვთისმშობლის „კორონაციის“ სცენებით (უკანასკნელი თანადროული ჯაჭვისა და ცრემლის გამოკლებით შემონახულია), აგრეთვე წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი ცისფერ ბაფთაზე და გულზე ამავე ორდენის განმასხვავებელი ვარსკლავი წარწერით: “[ЗА] ВѢРУ [И ВѢРНОСТЬ]”.[7] ანტონი აგრეთვე გახლდათ კავალერი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა, თუმცა ამ დროს იგი მას არ ატარებდა.

მაცხოვრის პანაღია, რომელიც ანტონს ებოძა იმპერატორ ეკატერინე II-ის მიერ მის ნინოწმიდელ მიტროპოლიტად ხელდასხმის შემდეგ ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში, აღწერილი აქვს დეკანოზ ვასილი ჟმაკინს: „ეკატერინე II-ის მიერ ბოძებული პანაღია მაცხოვრის მინანქრული გამოსახულებით. გამოსახულების გარშემო პირველ რიგში მოთავსებული იყო საშუალო ზომის 25 ბრილიანტი, მეორე რიგში – 16 ბრილიანტი აგრეთვე საშუალო ზომისა, პანაღიის გარშემო 95 წვრილი ბრილიანტია, გვირგვინში – 3 დიდი ზომის, 1 საშუალო სიდიდის და 31 წვრილი ბრილიანტია. ცრემლში – ოთხი დიდი, ორი საშუალო და ხუთი წვრილი ბრილიანტია. სრულად პანაღიაში 183 ბრილიანტია. კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ იგი შეფასდა 6940 მანეთად და დაბრუნდა საიმპერატორო კაბინეტში“ [Жмакин:103].[8]

ეს ანტონ II-ის სრულყოფილი პორტრეტია. „ერთი შეხედვით პორტრეტი მკაცრია და კანონიკური, მაგრამ სახე დახასიათებულია დიდი

5 ეს მანტია, რომელიც რუსეთში მხოლოდ პატრიარქთა და უპირატეს მიტროპოლიტთა (პეტერბურგის) პრივილეგია იყო, ანტონს ებოძა იმპერატორ ალექსანდრე I-ის საგანგებო რესკრიპტით 1811 წლის ივნისის თვეში [Жмакин:113].

6 ეს განმასხვავებელი ნიშანი ებოძა ანტონს იმპერატორ ალექსანდრე I-ის საგანგებო რესკრიპტით 1801 წლის 31 დეკემბერს, ამასთანავე, იგი გახდა კავალერი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა [Жмакин:103].

7 წმიდა ანდრია პირველწოდებულის საიმპერატორო ორდენი რუსეთის იმპერიის უმაღლეს ჯილდოს წარმოადგენდა 1917 წლამდე. ანტონი გახლდათ ერთადერთი ქართველი სასულიერო პირი, რომელმაც მთელი იმპერიის არსებობის განმავლობაში მიიღო ეს ჯილდო 1801 წლის 31 დეკემბერს, თან განსაკუთრებული, უმაღლესი სტატუსით – გამშვენებული ორდენი ბრილიანტებით.

8 თუ გავითვალისწინებთ, რომ იმპერატორი ხშირად ჯილდოს სახით გასცემდა ძვირფას პანაღიებს, დიდი შანსია, ანტონისეული პანაღია რომელიმე რუსი მღვდელმთავრის ხელში აღმოჩენილიყო.

სიმართლით. ამ ადამიანის შინაგან სამყაროს ავლენს მისი ჭკვიანი, კეთილი თვალები, მარჯვენა აწეული ხელით იგი თავის სამწყსოს აკურთხებს. პორტრეტში ყოველი დეტალი ვირტუოზული ოსტატობითაა ამოწერილი“ [დავიდოვი 1988:37]. ლამაზი სახე და შავი წვერი დახატულია გულდასმით, პროფესიონალურად, მაგრამ მხატვრის მიდგომაში არ იგრძნობა მეგობრული სითბო და ინტერესი, ეს სავსებით ტრადიციული, ოფიციალური პარადული გამოსახულებაა – ხატოვანი და მდიდრული, შესრულებული ამგვარი სახის ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ყველა კანონის დაცვით.

სემ (შასხმ, r)-ში ინახება ამ პორტრეტის ზომაში ოდნავ განსხვავებული (89 x 68 სმ.) (311 r) (იხ. ტაბ.20), ძალიან დაზიანებული ასლი. იგი აგლეჯილია ტილოს ჩარჩოდან და მუყაოზე დახვეული გრაგნილის სახით ინახება. შესაძლოა დავუშვათ, რომ იგი ავტორისეული ასლია: „როგორც ბოროვიკოვსკის ნაწარმოებთა კატალოგშია აღნიშნული, თბილისში მცხოვრებ ს. თუშმალიშვილს აქვს ამ პორტრეტის ძველი, მაგრამ კარგი ხარისხის ასლი, რომელიც 1969 წელს შეუძენია ვინმე მამაცევასგან“ [დავიდოვი 1988:37]. საკითხი საჭიროებს კვლევა-ძიებას. ჩვენი აზრით, ეს პორტრეტი არა 1969 არამედ, 1869 წელს უნდა იყოს შეძენილი.

სემ (შასხმ, r)-ში აგრეთვე ინახება ანტონის საუცხოოდ დაცული დიდი ზომის პორტრეტი (68 r) (იხ. ტაბ. 21). ტილო ასახავს ანტონს მანტიასა და თეთრ ბარტყულაში კვერთხით (კვერთხის გველების კიდესა და სფეროს შორის სტილიზებულად მოცემულია ინიციალები: „А[нтоний].К[аталикос]). ავტორი, დიდი ალბათობით, უცნობი ქართველი მხატვარია. ეს პორტრეტი გარკვეულწილად ეთანადება საქართველოში დაცულ სამეფო გვართა სხვა წევრების გამოსახულებებს (მაგ. თეკლა ბატონიშვილის პორტრეტი). ნეიტრალური ყავისფერი ფონის მარცხენა მხარე უკავია ვრცელ მხედრულ თეთრი ფერის წარწერას: „საქართველ[ო]ს. მეფ[ი]ს: 2 . ერაკლის. ძე. – aანტ[ო]ნი. 2. u~წ. [უწმიდესი] q~ათალიკოსი. სა-ქართველოისა. წელსა. 1812. m[ო] სკოვს.“ თუ დავუშვებთ, რომ წარწერა პორტრეტის თანადროულია, ე.ი გამოდის, რომ ოსტატს იგი შეუქმნია 1812 წელს მოსკოვში. ამასვე ეთანადება ანტონის ბიოგრაფიაც, დოკუმენტურადაა ცნობილი, რომ იგი 1811 წლის 21 ოქტომბრიდან 1812 წლის შემოდგომამდე მოსკოვში ცხოვრობდა. ამ პორტრეტს თუ შესამოსლისა და უხვი რეგალიების სიმდიდრესა მოვაკლებთ სავსებით შეესაბამება: „რა თქმა უნდა, ყველა ამ პორტრეტში, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია რუსეთში დამკვიდრებული ზოგადად ევროპული პარადული პორტრეტული მხატვრობის სტილი, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოტრეტები

შესრულებულია განსხვავებული განსწავლულობისა და ნიჭის მქონე არაერთი მხატვრის მიერ. აშკარაა ისიც, რომ ქართული პორტრეტების მხატვართათვის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა თვით რუსეთში არსებული განსხვავებული სკოლების თავისებურებები თუ მიმდინარეობები. ერთი არსებითი ნიშანი, რომელიც ქართველ არისტოკრატთა პორტრეტებს რუსულისგან განასხვავებს, არის ის, რომ ჩვენი ნიმუშები მეტი სისადავით, თავისებური უბრალოებით, შესრულების ერთგვარი გაუბედაობით, არც თუ ისე მჭახე და ეფექტურობაზე ნაკლებად გათვლილი კოლორიტით გამოირჩევა. ასევე, ქართველი მხატვარი, არა მხოლოდ თავისი მხატვრული გემოვნების გამო, არამედ რუსეთში მყოფი სამეფო ოჯახის ალბათ უფრო მოკრძალებული არსებობის მიზეზითაც, ანტურაჟს, პორტრეტის გარემოცვას, რუსულისგან განსხვავებით, ნაკლებად პომპეზურად და მდიდრულად გადმოსცემს“ [ციციშვილი, ჭოღოშვილი 2013:10].

1945 წლის ზაფხულში მკლევარმა თორნიკე ჭყონიამ დაათვალიერა გორკის ოლქის ყველა სიძველეთსაცავი და გორკის საოლქო მხარეთცოდნეობის მუზეუმში სხვა ქართულ სიძველეებთან ერთად აღმოაჩინა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის კიდევ ერთი პორტრეტი (იხ.ტაბ.22). ოდნავ მოგვიანებით მან ამ სიძველეების შესახებ მოზრდილი სტატიაც მოამზადა, სადაც დაბეჭდა ცნობები აღმოჩენილი პორტრეტის შესახებ: „ანტონ მეორის პორტრეტს (96 x 78) უკანა მხარეს აქვს წარწერა: Портрет Царевича, блаженнейшаго Католикоса Грузинского и Кавалера Антония скончавшагося и погребенного в Нижегородском Теплом соборе 1826 году. Копировал Петр Чуфарин. არსებობს პორტრეტის აღწერილობა: Поясной. 3/4 вправо. На голове белый монашеский клобук, спереди на клобуке крестик из каменьев. На лице усы и небольшая, окладистая борода. Одет в монашескую, тёмную рясу. На груди две панагии, орденская цепь и ряд разных орденов. Сидит на стуле с высокой спинкой. Руки сложены на столе. В правой руке полусвёрнутая рукопись. Направо стоит большая книга. პორტრეტი შესრულებულია ზეთის საღებავებით“ [ჭყონია 1947:256, 258-259].

ეს შესანიშნავი პორტრეტი თორნიკე ჭყონიას წარდგენით შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა და ამჟამად ინახება იქვე. იგი, ჩვენი ინფორმაციით, ერთხელ იქნა დაბეჭდილი 70-80-იან წლებში ქართული მწიგნობრობისადმი მიძღვნილ ბუკლეტში.

III

არსებობს აგრეთვე პორტრეტთა ერთი ჯგუფი, რომელიც ჩვენი აზრით, საფუძველს უნდა იღებდეს ზემოთ ნახსენებ 68r-დან. ეს XIX საუკუნის I ნახევარში შექმნილი ლითოგრაფიაა, რომელზეც ანტონის გამოსახულება ოვალშია მოთავსებული, ქვემოთ კი ახლავს განმარტებითი წარწერა და პირადი გერბი. ძირეული განსხვავება 68r-გან გახლავთ სახის მიმართულება (საპირისპიროა) და თავად სახე (შედარებით მობერებულია). კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების III ტომის წინასიტყვაობაში ნათლადაა მითითება, რომ ამ ლითოგრაფიის ავტორი ვინმე რუსი მხატვარი პინაევია (სამწუხაროდ, ამ ეტაპზე აღნიშნულ ოსტატზე ვერანაირი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა) [АКТЫ 1869: VI]. ამ ლითოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნიმუში ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის იკონოგრაფიის ფონდში, ახლავს განმარტებითი წარწერა და გერბი. ლითოგრაფია, რომელიც ალბათ კედელზე იყო ლურსმნით მიჭედებული (იხ. ტაბ.23) ფოტოგრაფიულადაა გადაღებული, შესაბამისად მრავალი დეტალი მეტად ბუნდოვანია და მათი წაკითხვა ჭირს. თავად გამოსახულების მცირე არშიის ქვეშ, ოდნავ მარცხნივ, ჩვენ ამოვიკითხეთ სავარაუდოდ ავტორის გვარი: "Д. (Б-?) Пинаев." ემბლემა (იხ.ტაბ.24), რომელიც პორტრეტის ქვეშაა მოთავსებული გარკვეულ დონეზე განირჩევა. იგი ასახავს ოვალში ჩახატულ გუმბათოვან ეკლესიას, რომელსაც კლასიცისტური პორტიკები ამკობს, ხოლო ოვალს ირგვლივ შემოუყვება სამღვდელმთავრო ატრიბუტები: ჯვარი, ორი კვერთხი, ორთითა და სამთითა სანთლები, დოქი, ბარძიმი და მისთ. ემბლემის გარდიგადმო და ქვეშაც განთავსებულია წარწერები სამ ენაზე: რუსულად, ფრანგულად და ქართულად. რუსული წარწერა სრულებით იკითხება: "Грузинскій Каталикосъ Царевичъ АНТОНІЙ", ფრანგული ნაწილობრივ: "Catholic…Georgien Le… ANTON…". ქართული წარწერა ძალზე ვრცელია და რამდენიმე ნაწილად იყოფა: 1-ლი წარწერა მოთავსებულია ემბლემის მარჯვნივ, იგი მეტად დაზიანებულია, თუმცა რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა ხერხდება: „ქართჱლთა მწყემსთ... უნეტარესს...ანტონი..." მე-2 წარწერა უკვე ემბლემის ქვევითაა მოთავსებული, მისი პირველი სტრიქონი (შედარებით წვრილი) არ იკითხება, თუმცა მეორე სტრიქონში განირჩევა რამდენიმე სიტყვა: „დაიბეჭდა ადგილთა (ღუაწლითა?)... უმორჩილესის ღუბერნიის..." თუ ოდესმე მოხერხდა სრულად წარწერის წაკითხვა, ჩვენ შესაძლოა მივიღოთ ინფორმაცია ამ ლითოგრაფიის ავტორის, დამკვეთისა და ბეჭდვის ადგილის შესახებ.

წარწერასა და ემბლემას მეტ-ნაკლებად იმეორებს სემ (შასხმ, r)-ში დაცული მცირე ზომის ტილო (55 r) (იხ.ტაბ.25), რომელიც ამ ლითოგრაფიის „შეფერადების“ ცდაა. წარმოდგენა გვექმნება, თითქოს ოსტატს არ ჰქონდა პალიტრა და სულ რამდენიმე ფერით უწევდა მუშაობა. შესრულების დონე მეტად დაბალია. მხატვარს ლითოგრაფიის წაბაძვით პორტრეტის ქვედა მხარეში მოცემული აქვს მხედრული წარწერა პირობითი საპატრიარქო გერბით – ემბლემით. წარწერა ორიგინალთან შედარებით შემოკლებული და გამარტივებულია: „საქართველოს კათალიკოსი მეფის ძე ანტონი. შობილი 8 იანუარს 1761 წელსა. აღსრულებული 21 ნოემბერს 1828 წელსა“ [sic]. წარწერაში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა (გარდაცვალების თარიღი, ხოლო დაბადების თარიღი საბოლოოდ დადგენილი არაა და მერყეობს 1761-64 წლებს შორის). ემბლემა ნათლად არ იკითხება, თუმცა საერთო პროგრამა გასაგებია – ტაძრის (სიმბოლურად ალბათ, სვეტიცხოვლის) გარშემო შემორტყმულია რგოლი, რომლის გაყოლებაზეც ჩალაგებულია სამღდელმთავრო ნივთები თუ რეგალიები.

ყველაზე გავრცელებული პორტრეტი ანტონ II-ისა გახლავთ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ აქტების III ტომზე დართული ქრომოლითოგრაფია. საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა 14 პორტრეტიდან ერთ-ერთი სწორედ ანტონ II-ს ასახავს (იხ.ტაბ.26). ფურცლის ზომა 41,6 x 29 სმ-ია. ასახავს მართკუთხა ორნამენტულ მოხაზულობაში ჩახაზულ ოვალს. ოვალში მოთავსებულია პორტრეტი. პინაევის ლითოგრაფიისგან ძირითადი განსხვავება შემდეგშია: კუნკულზე ანუ ბარტყულაზე არ გვაქვს სერაფიმები. დანარჩენში იგი მისდევს ორიგინალს. აქტების III ტომის შესავალში ვკითხულობთ: „პორტრეტი კათოლიკოს ანტონ II-ისა შექმნილია ესტამპიდან, რომელიც ჰქონდა ტფილისის ყოფილ სამეფო კარის ეკლესიის მღვდელს, გიორგი მელითაურს, იგი დახატულია რუსეთში მხატვარ პინაევის მიერ“ [АКТЫ 1869:VI]. ცნობილია, რომ ეს ქრომოლითოგრაფიები შეიქმნა თბილისის კ. ტომსონის მხატვრული ლითოგრაფიის სახელოსნოში ვინმე დიუსტერდიკის მიერ, შესაბამისად, ამ პორტრეტის ავტორი დიუსტერდიკი გამოდის [2]. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ამ ოსტატის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. მისი ერთ-ერთი ორიგინალი, ამოღებული აქტების III ტომიდან, ამჟამად გამოფენილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თამარ მაჭავარიანის სახელობის ქართველოლოგიის განყოფილების სამკითხველო დარბაზში ბაგრატიონთა ოჯახის სხვა წევრების პორტრეტებთან ერთად.

აქვე დავძენთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის

მიერ 2011 წლის 7 ივლისს წმინდანად იქნა შერაცხული და ეწოდა მრავალვნებული ანტონ II. სინოდმა აგრეთვე განაჩინა: „დაიწეროს წმიდანის ხატი და შეიქმნას შესაბამისი საღვთისმსახურო განგება“ [საპატრიარქოს უწყებანი 2011:3]. საღვთისმსახურო განგება სამწუხაროდ ჯერ არ შედგენილა, თუმცა არის ცდები წმიდანის ხატის შესაქმნელად. ამ მხრივ დღეს ჩვენ სამი ნიმუში მოგვეპოვება: 1. მინანქრული, ცნობილი „საქართველოს იმედის“ ხატიდან (წმ. ანტონის ხატი განთავსებულია მარცხენა ფრთის ზედა ნაწილში, მღვდელმთავართა რიგში) (იხ. ტაბ. 27); 2. დეკანოზ ლევან ფიროსმანაშვილის მიერ შექმნილი ხატი (იხ.ტაბ.28); 3. ბოლნისის სიონის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული ქართველ მამამთავართა ხატი, ზემოდან-ქვემოთ მეორე რიგის კუთხეში წმ.ანტონის მცირე ხატია მოცემული (იხ.ტაბ.29). თუმცა, ამ ხატების კანონიკის განხილვა და მსჯელობა, თუ როგორი უნდა იყოს წმიდა მამამთავრის ხატი, რა ატრიბუტიკა, წარწერა თუ სტილი უნდა გამოარჩევდეს მას, ეს უკვე სრულიად სხვა საკითხია და ამ ეტაპზე მას ღიად ვტოვებთ.

ამგვარად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯამში შემორჩენილია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ორი გამოჩენილი მამამთავრის – ანტონ I-ისა და ანტონ II-ის 13 პორტრეტი. მათ გამოარჩევს რაოდენობა და სართო ნიშანი: ეს არის ქართველ სასულიერო პირთა პირველი ევროპული სტილის პარადული პორტრეტები და არა შუა საუკუნეების იკონოგრაფიული გამოსახულებები, რომლებიც შედარებით მეტი პირობითობით ხასიათდებოდა და შესაბამისად, ნაკლებად რეალისტურები იყვო. ისინი ევროპასა და რუსეთში დამკვიდრებულ პარადული პორტრეტების ელემენტალური ნორმების დაცვით იქმნებოდა (მანამდე ზუსტი მნიშვნელობით პორტრეტულობის ცნება ქართველ სასულიერო პირთა გამოსახვისას არ დასმულა, გამონაკლისად შეგვიძლია მხოლოდ ქრისტეფორე კასტელის ჩანახატები მივიჩნიოთ (მალაქია გურიელი კათალიკოსი, ზაქარია ქვარიანი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი [კასტელი 1976: ილ.17,19, 368, 369...])).

იმედს ვიტოვებთ, აღნიშნული მცირე ნაშრომი პატარა წვლილს შეიტანს ფოტოგრაფიის შემოსვლამდე არსებული ქართველი სასულიერო პირების გამოსახულებების კვლევასა და კორპუსის შედგენაში. ამ საქმის წინ წამწევი იქნება პროფესორ ზაზა სხირტლაძის მრავალტომეული „ისტორია სახეებში (ისტორიულ პირთა გამოსახულებები ძველ ქართულ ხელოვნებაში)“, რომლის გამოცემასაც უახლოეს მომავალში დაიწყებს გამომცემლობა „არტანუჯი“.[9]

9 დასასრულს, გვსურს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ეკლესიის ისტო-

დამოწმებანი

ბუბულაშვილი 1998ა: ბუბულაშვილი ე., მიხეილ თამარაშვილი – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი; საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენცია 11-13 ოქტომბერი, 1995, თბ., 1998.

ბუბულაშვილი 1998ბ: ბუბულაშვილი ე., ერთი უზუსტობის გამო, ლიტერატურული საქართველო, 30.I-6.II, თბ., 1998.

ბუბულაშვილი 2011: ბუბულაშვილი ე., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II (1788-1811), დიდი ქართველები, ტ.XI, თბ., 2011.

დავიდოვი 1988: დავიდოვი რ., ქართველთა პორტრეტები ბოროვიკოვსკის შემოქმედებაში, საბჭოთა ხელოვნება, N 6, თბ., 1988.

დაუშვილი 1990: დაუშვილი რ., გასული საუკუნის პორტრეტები, ხელოვნება, N 6, თბ., 1990.

თამარაშვილი 1995: თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, ქართული ეკლესიის ისტორია (მასალები და გამოკვლევები), ტ.III, თბ., 1995.

კასტელი 1976: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976.

კეკელიძე 1951: კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ.I, თბ., 1951.

საპატრიარქოს უწყებანი 2011: წმინდა სინოდის ოქმი, საპატრიარქოს უწყებანი, N 27 (599), თბ., 2011.

საქართველოს ისტორია 2012: საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტ.III, თბ., 2012.

რიის მკლევარს, ბ-ნ ლუარსაბ ტოგონიძეს მასალების მოძიება-გადაღებაში გაწეული დახმარებისათვის; სემ შასხმ-ის ახალი და უახლესი ფერწერის განყოფილების კურატორს, ქ-ნ იზოლდა ქურდაძეს აღნიშნულ მუზეუმში დაცული და ამ ნაშრომში წარმოდგენილი ფერწერული ტილოების მოძიება-გადაღებისა და კონსულტაციისათვის; გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის იკონოგრაფიის ფონდის გამგეს, ქ-ნ ნანა კობალაძეს ამ მუზეუმში დაცული და აქ წარმოდგენილი ორი ნიმუშის მოძიება-გადაღებისათვის; დეკანოზ ილია ჭიღლაძეს ნაშრომის გულდასმით წაკითხვა-რედაქტირებისა და კონსულტაციისათვის და ბ-ნ მირიან კილაძეს ფერწერული ტილოების მაღალ პროფესიონალურ დონეზე გადაღებისათვის.

ციციშვილი, ჭოღოშვილი 2013: ციციშვილი მ., ჭოღოშვილი ნ., ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, თბ., 2013.

წყობილსიტყვაობა 1853: წყობილ-სიტყუაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუჭლისა კათოლიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართუჭლოჲსა, პორტრეტითურთ თჳთ ანტონისა, თფ., 1853.

ჭყონია 1947: ჭყონია თ., გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ლიტერატურული ძიებანი, ტ.IV, თბ., 1947.

АКТЫ 1869: Акты, собранные Кавказскою археографическою комиссіею, изданъ подъ редакціею предсѣдателя Коммиссіи дсс. Ад. Берже, Тиф., 1869.

Горленко 1891: Горленко В., Живописецъ В.Л Боровиковскій. Біографическій очеркъ, Русскій Архивъ, т.VI, М., 1891.

Е. К 1901: Е.К., Краткій очерк исторіи Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие, Тиф., 1901.

Жмакин 1905: Прот. Жмакин В., Грузинскій католикосъ Антоній II въ Россій, Христианское Чтение, N 1-2,10, СПб., 1905.

Histoire de Géorgie 1900: Histoire de Géorgie, publiée sous la direction de M. Raphaël Isarloff, Aperçu géographique et abrégé de l'histoire et de la littérature géorgienne par M. A. Khakhanoff, Tiflis., 1900.

ინტერნეტგვერდები:

[1] http://www.kabinet-auktion.com/auction/book7/051/;
[2] http://www.tez-rus.net/ViewGood505.html;

ტაბულათა ანოტაციები:

ტაბ.1. უცნობი ქართველი (?) მხატვარი, სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის პორტრეტი, 1772-74 (?) წწ, ტილო, ზეთი, 90 x 73 სმ., სემ (შასხმ, r);

ტაბ.2. საპატრიარქო კუნკულ-ბარტყულები ჯვრითა და სერაფიმებით და ქოშთა წყვილი, დ.ერმაკოვის ფოტოსურათი;

ტაბ.3. პოღოს გრასირიანცი, სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის პორტრეტი, 1852-53 წწ, ლითოგრაფია;

ტაბ.4. უცნობი მხატვარი, წმ.მღვდელმთავარ ტიხონ ზადონელის, ვორონეჟისა და ელეცის ეპისკოპოსის პორტრეტი, XIX ს-ის I ნახევა-

რი, ტილო, ზეთი. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;

ტაბ.5. უცნობი ქართველი (?) მხატვარი, სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პორტრეტი, 1788-89 (?) წწ, ტილო, ზეთი (დაკრულია მუყაოზე) 89 x 68 სმ., სემ (შასხმ, r);

ტაბ.6. უცნობი ქართველი (?) მხატვარი, სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პორტრეტი, 1788-89 (?) წწ., ტილო, ზეთი 98 x 73 სმ., სემ (შასხმ, r);

ტაბ.7. ვლადიმირ ბოროვიკოვსკი (1757-1828 წწ.), საქართველოს კათოლიკოსის ანტონ II-ის პორტრეტი, 1811 წ., ტილო, ზეთი, 94,5 x 73,6 სმ., ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა, მოსკოვი;

ტაბ.8. უცნობი მხატვარი, საქართველოს კათოლიკოსის ანტონ II-ის პორტრეტი (ასლი ტაბ. 19-ისა), XIX ს-ის I ნახევარი, ტილო,ზეთი, 89 X 68 სმ., სემ (შასხმ, r);

ტაბ.9. უცნობი ქართველი მხატვარი, სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პორტრეტი, 1812 წ., ტილო, ზეთი 89 x 68 სმ., სემ (შასხმ, r);

ტაბ.10. პინაევი, საქართველოს კათოლიკოსი ანტონი, XIX ს-ის I ნახევარი, ლითოგრაფიის ფოტოსურათი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი;

ტაბ.11. უცნობი ქართველი (?) მხატვარი, სრულიად ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის პორტრეტი, XIX ს-ის I ნახევარი, ტილო, ზეთი. სემ (შასხმ, r);

ტაბ.12. დიუსტერდიკი, ქართველი კათალიკოსი, უფლისწული ანტონი, ლითოგრაფია. თბილისი, ტომსონის სახელოსნო.

ტაბ.1.

№ 1616. Тифлисъ. Сіонскій Соборъ. Туфли Католикоса Антонія и украшеніе
Монашескаго клобука II.

ტაბ.2.



ტაბ.3.

ტაბ.4.

ტაბ.5.

ტაბ.6.

ტაბ.7.

ტაბ.8.

ტაბ.9.

ტაბ.10.

ტაბ.11.

ტაბ.12.